MES 1 23 0001217082

22/09/2023

ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრის წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ -ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლა:
რუსუდან დავითაძე - სკოლის დირექტორი
2. სსიპ - ქალაქ ქუთაისი N23 საჯარო სკოლა:
ნესტან სიხარულიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
3. სსიპ -ქალაქ ქუთაისი N17 საჯარო სკოლა:
გიორგი ვასაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
4. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლა:
ზურაბ გელაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ -ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლა:

ა) ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ტოტოჩავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-ქალაქ ქუთაისისN23 საჯარო სკოლა:

ა) ხათუნა ბარაბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ეხვაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე ცნობილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჭელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ ქუთაისის N17 საჯაროსკოლა:

ა) ლელა ბუბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეთერ ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაყვალა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლა:

ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მადონა მუმლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლიანა ქოქიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ციალა ჩიტია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ლომთათიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 16 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ ქალაქ ქუთაისი N23 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ ქალაქ ქუთაისი N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ- ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტმა ნინო ვასაძემ.
ექსპერტმა ნინო ვასაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილის ქუჩა N3-ში. ექსპერტმა, ნინო ვასაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურვილი ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობა განეხორციელებინა 1565 მოსწავლისთვის, თუმცა ექპერტთა ჯგუფი არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რაოდენობას და მათ მიერ განსაზღვრული იქნა 1500 მოსწავლე. ნინო ვასაძის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ მიიღო ინვენტარი, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ადგილზე ვიზიტისას იყო მხოლოდ 750 მერხი, ექსპერტთა

ჯგუფმა ადგილზე არსებული ინვენტარის გათვალისწინებით, დაწესებულებას მისცა რჩევა, რომ სასწავლო პროცესი განეხორციელებინა ორ ცვლაში.
ნინო ვასაძის განმარტებით, დაწესებულებაში ხორციელდებოდა არაფორმალური განათლება, მისივე თქმით, სკოლაში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლეთა პროფორიენტაციას. სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ექსპერტის განმარტებით, ფუნქციონირებდა საწარმო, რომელშიც ჩართული იყვნენ მოსწავლეები, ისინი აწარმოებდნენ ტკბილეულს და მოსწავლეები ივითარებდნენ სამეწარმეო უნარებს.
ექსპერტ, ნინო ვასაძის განმარტებით, სკოლაში შექმნილი იყო განსაკუთრებული თანამშრომლობითი გარემო, მოვალეობები იყო დელეგირებული და ყველა პედაგოგი აქტიურად იყო ჩართული სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
ექსპერტ, ნინო ვასაძის განცხადებით, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ 3.1, 3.4, 3.6 კომპონენტები შეფასდა მეტწილად. ექსპერტის განმარტებით, მეოთხე და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტ, ნინო ვასაძის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტ, ნინო ვასაძის განცხადებით, შენობა იყო 4 სართულიანი, ყველა სართულზე იყო სველი წერტილები. შენობა იყო გარემონტებული, 2019 წელს სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ. სკოლაში იყო სულ 27 საკლასო ოთახი. მათ შორის: პირველ სართულზე 2 საკლასო ოთახი, მეორე სართულზე 7 საკლასო ოთახი, მესამე სართულზე 9 საკლასო ოთახი და მეოთხე სართულზე - 9 საკლასო ოთახი; პირველ და მეორე სართულებზე საკლასო ოთახების გარდა იყო სამედიცინო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, რესურს ოთახი, კანცელარია, ლაბორატორია, სამასწავლებლო და მანდატურის ოთახი. ექსპერტის განმარტებით, ამავე კორპუსში იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია. სასკოლო ბუფეტი, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. 2 საკლასო ოთახში დამონტაჟებული იყო პროექტორები. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა ყველა სასკოლო ოთახის ეტაპობრივად აღჭურვას პროექტორით. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელიც შედგებოდა წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლაში ასევე ფუნქციონირებდა ექიმის ოთახი, რომელიც იყო საჭირო ინვენტარით აღჭურვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა იყო არაკვალიფიციური ექიმის კადრის აყვანის მიზეზი.
სკოლის დირექტორმა, რუსუდან დავითაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას ექიმის ვაკანსიაზე უკვე გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობდა საკონკურსო პროცესი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ დაწესებულებას არ გააჩნდა საჭირო რაოდენობის მერხი, რის საფუძველზე ჰქონდა მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში აჭარის განათლების სამინისტრომ სკოლას მიაწოდა 480 მერხი, ხოლო საქართველოს ინფრასტრუქტურის სააგენტომ

- 700. სკოლას ამჟამად ჰქონდა 28 საკლასო ოთახი და დაწესებულება შეძლებდა ორ ცვლაში სასწავლო პროცესის განხორციელებას. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2019 წელს შენობა რეაბილიტირებული იყო მილენიუმის ფარგლებში და პანდემიის პირობებში რამდენიმე ტენდერის ჩაშლის გამო სკოლამ ვერ შეძლო 2019 წელს მერხების შეძენა.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უკვე ჰქონდა სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა. ასევე აღნიშნა, რომ სკოლა დეკემბრის თვის ბოლომდე მოამზადებდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, თუ როდის შეძლებდა სკოლის ვებ-გვერდი სრულფასოვნად ფუნქციონირებას.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ვებ-გვერდი და განსაზღვრული ჰყავდა პასუხისმგებელი პირი, რომელიც ეტაპობრივად ტვირთავდა ყველა ინფორმაციას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ თარიღამდე, დაწესებულებას შეეძლო შესაბამისობაში მოეყვანა სკოლის ვებ-გვერდი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ შეფასების სქემის მიხედვით, დაწესებულებისთვის უნდა განსაზღვრულიყო მონიტორინგი 2 წლის ვადაში, სკოლის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა მონიტორინგის 1 წლის ვადაში ჩანიშვნის თაობაზე.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1565-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429193) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1565 - ით (დანართი 1.)

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო წლის დაწყებამდე ცენტრში წარმოედგინა შესაბამისი რაოდენობის მერხების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი:2024 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენით;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1, 3.4 და 3.6 კომპონენტები.

2. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N23 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ხათუნა ბარაბაძემ და თეა ეხვაიამ. ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა რეაბილიტირებული შენობა და უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემო.
მან განმარტა, რომ სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ართულ ენაზე. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, არაყიშვილის ქუჩა N15-ში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი, ხოლო მესამე სტანდარტში 3.4 კომპონენტი იყო მეტწილ შესაბამისობაში, ვინაიდან ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა დასკვნა მიღებული სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, დასკვნაში ასახულ ტექნიკურ ხარვეზზე, რომლის მიხედვითაც 3.4 კომპონენტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად და სწორედ ამიტომ მესამე სტანდარტი იყო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.
აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტება სთხოვა ცენტრს, რასაც დაეთანხმა ცენტრის წარმომადგენელი.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ ისაუბრა, სკოლის როგორც, სოციო-კულტურული სივრცის საუკეთესო გამოცდილებებზე, აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 22 კლუბი სხვადასხვა მიმართულებით. მრავალფეროვანი აქტივობები ადასტურებდა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო მოსწავლის განვითარებაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზუალური მასალა, რომელიც ასახავდა სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებს და აღნიშნა, რომ საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი ნამუშევრებით, საგნობრივი ექსპერტების შეფასებით მეორე სტანდარტი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლის დირექტორმა, ნესტან სიხარულიძემ განმარტა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდათ პროცესები გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად, კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დასკვნაში ასახული გარემოებების აღმოფხვრის მიზნით სკოლამ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.
სკოლის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გაიზიარეს ექსპერტთა რჩევა ექთნის დამატებასთან დაკავშირებით და დაიწყეს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N23 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1392-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად სსიპ - ქალაქ ქუთაისის N23 საჯარო სკოლას (ს/კ: 212706080) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1392 - ით (დანართი 2.)

3. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სსიპ- ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N44-ში. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 2100 მოსწავლე. ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ექსპერტის განმარტებით, სკოლის ძლიერი მხარე იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან აქტიური მუშაობა. სკოლაში შექმნილი იყო უსაფრთხო, პოზიტიური გარემო, საჭირო დამხმარე რესურსებით. სკოლის სპეც მასწავლებლები, ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამუშაო შეხვედრებს ატარებდნენ მშობლებთან და მასწავლებლებთან. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული ძირითადი აქტივობები მუშავდებოდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლაში შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობდა მის განხორციელებას.

ექსპერტ ლელა ბუბაშვილის განცხადებით, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებლობის შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას. ექსპერტმა, აღნიშნა რომ სკოლა იყო მილენიუმის ფარგლებში რეაბილიტირებული. დაწესებულებას ჰქონდა ადაპტირებული შესასვლელი და რამდენიმე ადაპტირებული საპირფარეშო. ექსპერტ, ლელა ბუბაშვილის განცხადებით, სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა შესაბამისი წიგნადი ფონდით და სამკითხველო დარბაზით. ასევე, მან ისაუბრა სკოლის ორი სპორტული დარბაზების შესახებ, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამდენად უსაფრთხო იყო პრეზენტაციაში წარმოდგენილი სარკეებიანი დარბაზი მოსწავლეებისათვის და შეესაბამებოდა თუ არა უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი ოსაძემ, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა ორი სპორტული დარბაზი, ერთ-ერთი განკუთვნილი იყო სპორტული აქტივობებისთვის , ხოლო სარკეებიან დარბაზს იყენებდნენ ტანვარჯიშისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ არ ჰქონდათ დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და რამდენად უსაფრთხო იყო სწავლის დაწყება ამ მოცემულობით.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროცესი იყო დაწყებული და სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლას გაგზავნილი ჰქონდა საჭირო დოკუმენტაცია ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ამის შემდეგ მოხდებოდა სკოლის ადგილზე შემოწმება და შესაბამისი დასკვნის მიღება.

საბჭოს წევრი, მორის დანდურაშვილი დაინტერესდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით, სადაც საფუძვლებში მითითებული იყო მინისტრის მიერ გამოცემული ძალადაკარგული ბრძანებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ექვემდებარებოდა ჩასწორებას.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, დააყენა შუამდგომლობა, მონიტორინგის ადგილზე ვიზიტით განხორციელების თაობაზე, რადგან 3.1 კომპონენტი მოითხოვდა ექსპერტების მიერ ფაქტობრივი გარემოებების ადგილზე შეფასებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლას (ს/კ: 212805767) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2100 - ით (დანართი 3.).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1, 3.4 და 3.7 კომპონენტები.

საბჭოს მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებას ცენტრში წარმოედგინა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და 2.2 კომპონენტის შესაბამისი დოკუმენტაცია, კერძოდ, ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

4. სსიპ - ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ირინა დვალმა. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 06 და 07 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთში. სკოლა ახორციელებლდა დაწყებით და საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს და საავტორიზაციო განაცხადის მიხედვით სურდათ განეხორციელებინათ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 50 მოსწავლე.

ირინა დვალის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტის განცხადებით, 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი-მეტწილად. შეფასების სქემის მიხედვით პირველი სტანდარტი შეფასდა სტანდარტთან შესაბამისად, მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ 3.1, 3.4, 3.6, 3.7 კომპონენტები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

ხოლო, მეოთხე სტანდარტი იყო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. ირინა დვალმა განმარტა, რომ მეორე სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი შეფასდა, როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა მესამე თაობის სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში

ექსპერტის განცხადებით, სკოლა განთავსებული იყო ერთსართულიან კეთილმოწყობილ შენობაში. სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებლობის შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას. ექსპერტმა, აღნიშნა რომ სკოლას ჰქონდა ადაპტირებული შესასვლელი და საპირფარეშოები. დაწესებულებას გააჩნდა ბიბლიოთეკა შესაბამისი წიგნადი ფონდით. ირინა დვალის განცხადებით, სკოლას არ ჰქონდა სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

ცენტრის წარმომადგენელმა, სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, შუამდგომლობა დააყენა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე. სკოლის მიერ თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოთხოვნილი 50 მოსწავლის ნაცვლად, ყოფილიყო 75 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს, შეძლებდა, თუ არა სკოლა 75 მოსწავლისთვის გაეწია შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურეობა.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულება შეძლებდა 75 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, შენობის ექსპლუარაციაში შესვლის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით.
სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოვალეობის შესმრულებელმა, ზურაბ გელაშვილმა, უპასუხა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან, სკოლაში განხორციელდა შემოწმება, დაფიქსირდა ხარვეზი. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ უკვე გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი და უახლოეს მომავალში შეძლებდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მიღებას.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, შეძლებდა თუ არა დაწესებულება საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის სათანადო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 75-ით განსაზღვრის საკითხი.

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება იმატებდა საშუალო საფეხურს, პროცესის უწყვეტობისა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მიზნით, სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 8 სექტემბრიდან.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 და მე-11 პუნქტებისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 226152515) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 75 - ით (დანართი 4.) გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 08 სექტემბერი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენით;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.4 და 3.6 კომპონენტები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა